



MES 1 22 0000370435



11/04/2022

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2022 წლის 29 მარტს. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82811782328?pwd=RUtMWiNpWGxha09iYnZsTHFHMTZsUT09>

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

მარიკა ზაქარაიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კოორდინატორი (პროფესიული განათლების) (საბჭოს წევრი);

ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“:

ანა დათუაშვილი - დირექტორი

ირაკლი მირუაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი;

ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი;

ნათია გოგინაშვილი - იურისტი;

ნათია ნამიჭეიშვილი - „განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის“ (EDEC)

აღმასრულებელი დირექტორი;

ზაირა ბერიძე - ექსპერტი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი;

ქეთევან ლომია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა:

ვასილ კიკნაძე - დირექტორი,

მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე,

ბესარიონ ორმოცაძე - მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრი:

ლიკა კილაძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე;

ნათია ნამიჭეიშვილი - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

მარიამ ლომიძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის პროგრამის კოორდინატორი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

ქეთევან ჯანელიძე,

თეა ოსეფაშვილი,

ნანა შათირიშვილი,

თათია გივიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის „ვიდეოოპერატორი“ /01317/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ვინაიდან ტექნიკური მიზეზის გამო, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ვერ ჩაერთნენ საბჭოს სხდომაში, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხების დღის წესრიგის მე-2 და მე-3 საკითხებად გადატანის თაობაზე.

საბჭოს შემადგენლობა დაეთანხმა **შეცვლილ დღის წესრიგს**:

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის „ვიდეოოპერატორი“ /01317/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავჯდომარემ საკითხების წარმდგენებს სთხოვა, მოკლედ და ლაკონურად წარედგინათ პრეზენტაციები, ასევე აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს მთავარ და ძირითად პრობლემურ საკითხებზე. საბჭოს თავჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობენ მასალებს, დასკვნას და ამდენად მნიშვნელოვან ასპექტებზე ყურადღების გამახვილება სთხოვა წარმდგენებს.

1. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეასთვის „ვიდეოოპერატორი“ /01317/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 15 ერთ ჯგუფში, განხორციელების ადგილი - ქ.თბილისი, თ.ერისთავის ქ. №2. პროგრამას ჰყავს სამი განმახორციელებელი პირი. შემოწმდა მათი პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციები და სამივე განმახორციელებელი პირი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაწესებულებამ შეცვალა მისია და მათი სურვილია განავითარონ სხვა მიმართულებების პროგრამები და კოლეჯი არ იყოს მხოლოდ ერთი კონკრეტული პროფილის მიმართულებით პროგრამების განმახორციელებელი. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა კვლევის განხორციელება, რომელიც ოპერატორთა გილდიამ ჩაატარა. ეს კვლევა 2018 წელს არის ჩატარებული, თუმცა დარგის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით კადრების საჭიროება მართლაც დგას. ერთადერთი შეუსაბამობა, რაც ამ პროგრამის მიმართულებით დადგინდა დაკავშირებულია მატერიალურ რესურსთან. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მატერიული რესურსი, რომელიც კოლეჯის საკუთრებაშია, არ იყო საკმარისი ყველა პრაქტიკული უნარის მისაღწევად. კოლეჯში ვიზიტის დროს დაწესებულებამ განაცხადა, რომ აპირებდნენ მემორანდუმის გაფორმებას სტუდიასთან, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, ასევე შესაძლებლობა იქნებოდათ თანამედროვე აპარატურასთან მუშაობის გამოცდილება მიეღოთ მსმენელებს. ამჟამად, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სტუდიასთან, შესაბამისად პროგრამით დაინტერესებული მსმენელები მიაღწევენ იმ შედეგებს, რომელიც პროგრამით არის განსაზღვრული.

საბჭოს სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს, მისაღები თუ იყო მემორანდუმის გაფორმების ფორმა, როგორც წარმოადგინა კოლეჯმა. დარგის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დარგობრივად მისაღებია მემორანდუმის გაფორმების ასეთი ფორმა და განმარტა, რომ ყველაფერი აღნიშნულია მოცემულ დოკუმენტში. აღნიშნა ისიც, რომ თუ ყველაფერი მემორანდუმის მიხედვით განხორციელდება აღმოიფხვრება ის ხარვეზები, რაც კოლეჯს უფიქსირებოდა, კერძოდ ესენია: სპეციფიკური გარემო, კამერების, საკმარისი კომპიუტერების არქონა. ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის დროს მოწყობილი ჰქონდათ AC გარემო, შეკვეთილი

ჰქონდათ სპეციალური შტორები ოთახის ფანჯრების დაბნელებისთვის. ასევე ჰქონდათ მეორე ოთახი, რომელიც გამოსადეგია ტექნიკური გარემოს მოსაწყობად.

მარიკა ზაქარეიშვილი და გიორგი გამყრელიძე დაინტერესდნენ, რატომ ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება პარტნიორებთან და რატომ მიმართეს მემორანდუმის ფორმას.

კოლეჯის წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ პრაქტიკული კომპონენტი უნდა შესრულდეს პარტნიორ ორგანიზაციაში, მსმენელს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს ყველა ის აპარატურა, რაც პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად არის გათვალისწინებული, გარდა ამისა ორგანიზაცია კურსდამთავრებულებს შეარჩევს და სტაჟირების შემდგომ საუკეთესოებს დაასაქმებს. კოლეჯის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ პარტნიორ ორგანიზაციას შორეული მიზნები აქვს კოლეჯთან დაკავშირებით.

მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, პრაქტიკის ობიექტთან უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულება და რეკომენდაციის სახით განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულების გაფორმება. სხდომის თავჯდომარემ დაამატა, რომ მოკლევადიანი პროგრამებისთვის მნიშვნელოვანია კურსი იყოს შედეგზე ორიენტირებული და კოლეჯის წარმომადგენლებს სთხოვა, რომ შეხვედრებს პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და მოუსმინონ მათ როგორ მოხდება შედეგებზე გასვლა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა კომენტარი გააკეთა. მან თქვა, რომ რეგულაციაში ნამდვილად წერია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, თუმცა განმარტა ისიც, რომ აღნიშნული მემორანდუმის შინაარსი არის ხელშეკრულების შინაარსთან თანხვედრაში. პუნქტები გაწერილია ისე, რომ ცალსახად ხელშეკრულების შინაარსი აქვს.

მარიკა ზაქარეიშვილის აზრით, რადგანაც წერია რეგულაციების მიხედვით, რომ ხელშეკრულება უნდა იყოს, ჯობია გაფორმდეს ხელშეკრულება, არანაირი პრობლემა, ხარვეზი ეს არ იქნება.

გიორგი გამყრელიძე დაინტერესდა ცენტრი თუ მოახდენდა მონიტორინგს და რა ფორმით. ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტზე მიღწეული სწავლის შედეგების ხარისხის შემოწმება იგეგმება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ. ასევე გამოყო ის ფაქტიც, რომ პანდემიის შედეგად ძალიან ბევრი დაწესებულება დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა და დაწესებულებებმა შეცვალეს პარტნიორი ორგანიზაციები. ცენტრი ცდილობს მონიტორინგი განახორციელოს აღნიშნულ დაწესებულებებში.

ნიკოლოზ მესხიშვილს აინტერესებდა, როგორ განხორციელდებოდა პროგრამული უზრუნველყოფა, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ ის დაინტერესდა და ნახა, რომ კომპიუტერში ჩატვირთული იყო Primer, ასევე Photoshop, იყო კიდევ რამდენიმე პროგრამა, რომელიც ფოტო დამუშავებისთვის შეიძლება გამოდგეს. ადგილზე შემოწმდა ამ პროგრამების გამართულად მუშაობა და აქვე აღნიშნა, რომ დიდი დატვირთვა ამ პროგრამებში მუშაობის მხრივ იქნება პრაქტიკის ობიექტზე, სადაც ყველა სამონტაჟო პროცესი გამართულია შესაბამისი პროგრამებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაღლიერება გამოხატა საბჭოს მიმართ, მან მაღლობა გადაიხადა რეკომენდაციისთვის და თქვა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ რეკომენდაციას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

კითხვები არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლექტურ კანადასთვის „ვიდეოოპერატორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლექტურ კანადას (ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვიდეოოპერატორი /01317/ (დანართი 1).

2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის–„შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის–„შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხების განხილვა წინა საბჭოს სხდომაზე მოხდა და გადაწყვეტილების მიღებამდე საბჭოს სურდა პოზიციის შეჯერება, მსგავს პროგრამებთან დაკავშირებით წინარე გამოცდილების გახსენება/გაზიარება, რათა გადაწყვეტილება მეტად ინფორმირებულად და სწორად მიეღო საბჭოს. აღნიშნა, რომ საბჭო დეტალურად გაეცნო ცენტრის მიერ მიწოდებულ მასალებს და შეაჯერა პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა საბჭოს წევრებს დამაზუსტებელი ან დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის – „შინმოვლის სპეციალისტი“ /01284/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - შინმოვლის სპეციალისტი /01284/ **(დანართი 2)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „შინმოვლის სპეციალისტი“ /01282/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - შინმოვლის სპეციალისტი /01282/ **(დანართი 3)**.

4. ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თეა ოსეფაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიერ პროგრამასთან მიმართებით წინა დასკვნაში წარმოდგენილი იყო ერთი ხარვეზი, რომელიც პროგრამის სახელწოდებას შეეხებოდა და გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. საბჭოს მიერ ორგანიზაციას მიეცა ხარვეზის გამოსწორების ვადა და ორგანიზაციამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სრულად გაითვალისწინა მიწოდებული რეკომენდაციები. შესაბამისად, პროგრამის ახალი სახელწოდებაა - „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“. ეს არის პროფესიული მომზადების პროგრამა. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით- მე-5 დონე. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას. სწავლების ენაა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში შეადგენს მინიმუმ 10-ს და მაქსიმუმ 15-ს. მსმენელთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 მსმენელს. პროგრამის განხორციელების ადგილებია: იმერეთი, ქუთაისი, გრიშაშვილი მე-4 შეს N8. აღნიშნა განმეორებითი შეფასებისას ხარვეზი აღარ დაფიქსირებულა და დაკმაყოფილებულია ყველა სტანდარტი.

ქვესტანდარტი 1.1 პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს. პროგრამის საჭიროებების დასაბუთების ნაწილში დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ დოკუმენტები. ორგანიზაციმ ექსპერტებს მიაწოდა ანალიზი თუ რატომ არის ეს პროგრამა მოთხოვნადი. ამასთანავე, დაწესებულება დიდი ხანია, რაც თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში მდებარეობს. ექსპერტის დასკვნით ორგანიზაცია ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის შინაარსში არის - შესაბამისი სრულყოფილი თემატიკა.

ქვესტანდარტი 1.3 მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

ქვესტანდარტი 1.4 პროფესიული მომზადების პროგრამს ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას, სულ - 610 საათს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: სრული ზოგადი განათლება და სრულწლოვნება - 18 წელი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

ქვესტანდარტი 1.5 წარმოდგენილ პროგრამაში იკვეთება მეხუთე დონის შესაბამისი ცოდნა-უნარები და პასუხისმგებლობები. პირს მოუწევს არაპროგნოზირებად გარემოში მუშაობა, სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება. წარმოდგენილი პროგრამის დონე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისად არის -მე-5. ასევე, იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში „ახალგაზრდებთან მუშაობის

საბაზო უნარები“ მითითებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონე. აღნიშნული ქვესტანდარტიც დაკმაყოფილებულია.

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ მოიცავს შემდეგ სწავლების შედეგებს:

1. ახალგაზრდული საქმიანობის პრინციპები, სამართლებრივი საფუძვლები, ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობის ტიპები, როლი, მნიშვნელობა და ფუნქციები;
2. ახალგაზრდული ინიციატივების, ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება, მართვა და ზედამხედველობის ტექნიკების გამოყენება;
3. ახალგაზრდებთან ურთიერთობის, მათი მოტივირებისა და აქტივირების ხერხები/მეთოდები;
4. სათემო და სამეწარმეო საპროექტო წინადადებების მომზადების ტექნიკები;
5. საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, შეფასება და თვითგანვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.
6. სათანადო დახმარების გაწევა ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებაში მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების დაგეგმვასა და წარმართვაში.

ქვესტანდარტი 1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 კვირას, სულ - 610 საათი. კერძოდ, მე-6 კვ. 30 სთ, მე-15 -10 სთ, მე-16-3-0სთ, მე-17-20 სთ, დანარჩენ კვირებში 40 სთ. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული შედეგების ადეკვატურია.

ქვესტანდარტი 1.8 სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით. პროფესიული მომზადების პროგრამაში „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ გამოყენებულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, დისკუსისა, გონებრივი იერიში, პრაქტიკული სავარჯიშო, პრაქტიკული მეცადინეობა, როლური თამაში, შემთხვევის ანალიზი. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული ქვესტანდარტიც დაკმაყოფილებულია.

ქვესტანდარტი 1.9 პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. ძირითადად სწავლების ფორმაა „სწავლება პრაქტიკით“ დაახლოებით 85% არის პრაქტიკული მეცადინეობის წილი. პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულია მემორანდუმები.

ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. პროგრამაში მსმენელთა შეფასება ხდება შეფასების მეთოდებით: გამოკითხვა, პრაქტიკულ დავალებზე დაკვირვება, პრაქტიკული დავალება. აღნიშნული ქვესტანდარტიც დაკმაყოფილებულია.

მარიკა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ კითხვა არ აქვს, მაგრამ ახარებს ის ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ქუთაისიდან ძალიან აქტიურობს მომზადება/გადამზადების პროგრამებთან მიმართებით და იმედოვნებს, რომ დანერგვაც იქნება ხარისხიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის „ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები“ /01259/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრს (ს/კ: 212907522) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები /01259/ (დანართი 4).

5. შპს ევროპული ენების ინსტიტუტისთვის „სასტუმრო საქმის მწარმოებელი“ /01307/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მან აღინიშნა, რომ დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაცია არ გაცემულა. პირველი პრეცედენტი, როდესაც პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება უცხოეთშია დაგეგმილი, კერძოდ - გერმანიაში. პროგრამის თეორიული სწავლება დაგეგმილია თბილისში, ორგანიზაციის A/B გარემოში ხოლო განმსაზღვრელი შეფასება C გარემოში, ბოლო სასწავლო კვირას საქართველოში პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. პროგრამის დონე ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით - მეოთხე, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 90, ვიზიტის დროს გამოიკვეთა ძირითადი აქცენტები, კერძოდ პროგრამა დაგეგმილია 21 კვირიან სწავლებაზე, 8 კვირის განმავლობაში გაივლიან თეორიულ სწავლებას ორგანიზაციის ბაზაზე A/B გარემოში, კვირაში 3 დღე. შემდგომი 12 კვირის განმავლობაში სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას გაივლიან გერმანიაში, მაღალი კლასის სასტუმროებსა და სანატორიუმებში, კვირაში 5 დღე დღიურად 8 სთ-იანი დატვირთვით, ხოლო ბოლო სასწავლო კვირას განახორციელებენ სასწავლო ექსკურსიას ქართველი პარტნიორების კუთვნილ სასტუმროებში. ესენია: Bestwestern gudauri და ნოელგრანდი ბაკურიანში, სადაც ჩაუტარდება გაცნობითი სახის ექსკურსია. ძირითადად სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას გაივლიან გერმანიაში სასტუმროს შესაბამის დეპარტამენტებში. ვიზიტის დროს ექსპერტმა იკითხა, ხომ არ იქნებოდა კარგი პრაქტიკა გაეგლოთ ჯერ საქართველოში და მერე წასულიყვნენ პრაქტიკაში მომზადებული მსმენელები გერმანიაში, რომელზედაც მოისმინეს საკმაოდ დამაჯერებელი

პასუხი, რომ ჯობია გერმანიაში მაღალი სტანდარტებით ისწავლონ თავიდანვე, ვინაიდან მიჩვეულის გადაჩვევა უფრო ძნელია. ამიტომ A/B გარემოა მოწყობილი თბილისში, სიმულაციური გარემო არ აქვთ და მთლიანად პრაქტიკა არის გერმანიაში. გერმანულ კომპანიასთან ხელშეკრულება ორგანიზაციამ წინასწარ განიხილა საკონსულტაციო რეჟიმში ცენტრთან, რადგან პირველი პრეცედენტი იყო საერთაშორისო პრაქტიკის. ხელშეკრულება საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი, თუნდაც მგზავრობის ხარჯებს ვინ გასწევს, ჯანმრთელობის დაზღვევათვითონ მსმენელმა უნდა უზრუნველყოს და ა.შ. აბსოლუტურად ყველა პირობა არის დეტალურად ჩადებული ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, პრაქტიკა გერმანიაში ანაზღაურებადია მსმენელებისათვის და შესაძლოა მოხდეს, რომ მგზავრობის ხარჯები პარტნიორმა ორგანიზაციამ დააფინანსოს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მიხედვით მსმენელს მოითხოვება გერმანული და ინგლისური ენების ცოდნა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტურიზმის სფეროში არსებულ კლასიფიცირების გათვალისწინებით, საერთაშორისო მასშტაბით სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გერმანიაში მისასაღებელია, განსაკუთრებით, როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა „ლაქშერი“ ტიპის ბრენდულ სასტუმროებში. ორგანიზაცია ფლობს 15 სასტუმროს გერმანიაში და 2 სასტუმროს ავსტრალიაში, მთლიანობაში გამოთქვავენ მზაობას 200 მსმენელი მიიღონ (სამომავლოდ იგეგმება სხვა პროგრამის ერთობლივი განხორციელებაც). გერმანიაში პრაქტიკის ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკის დაფინანსება ხდება მსმენელისთვის გერმანული ენის ცოდნის მიხედვით 450-800 ევროს ფარგლებში. აგრეთვე ხელშეკრულება ითვალისწინებს საცხოვრებელ ხარჯებს, მათ შორის შაბათ-კვირასაც. ერთადერთი რაც მსმენელს მოეთხოვება უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირების ხარჯი (რისი დაფინანსების საკითხიც დაგეგმილია პრაქტიკის დასრულების შემდეგ) გერმანიაში და უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობის ადეკვატური ცნობა.

პროგრამის მისაღწევი სწავლის შედეგებია:

1. სასტუმროს ადმინისტრირება;
2. სტუმრის მიღება-განთავსება;
3. სასტუმროს ოთახის მოწყობა;
4. სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა (ჰაუსჰიფინგი);
5. სასტუმროს მომარაგების დაგეგმვა;
6. სტუმრის სასმელით/კვებით უზრუნველყოფა სასტუმროში;
7. პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
8. სასტუმროს რეკლამირება/პოზიციონირება;
9. შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა სასტუმროში.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ორი სწავლის შედეგის მნიშვნელოვნებაზე პირის დასაქმების მიზნებისთვის: სასტუმროს რეკლამირება/პოზიციონირება და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა სასტუმროში. მომზადების პროგრამაში წარმოდგენილია 5 განმახორციელებელი პირი. დარგობრივი სწავლის შედეგების განხორციელებაში ჩართული იქნება 2 პირი (რომლებიც ამავედროულად პროგრამის ხელმძღვანელად არიან წარმოდგენილი. გერმანული ენის ნაწილში - 1 პირი, სამედიცინო პირველადი დახმარების სწავლებაში - 1 პირი, რეკლამირება/სასტუმროს პოზიციონირება 1 პირი). მიმართულებების მიხედვით კვალიფიცირებული პირები ჰყავთ შერჩეული.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოს წარუდგინა ვიზიტის დროს გადაღებული ფოტომასალა.

გიორგი გამყრელიძე დაინტერესდაერთდროულად თუ მოხერხდებოდა 90 მსმენელისპროგრამაზე მიღება, რაზედაც ლანა გაჩეჩილაძემ უპასუხა, რომ ერთდროულად არ მოხდებოდა, პროგრამა 21 კვირიანია და ეტაპობრივად იგეგმება მსმენელთა ჩარიცხვა, ისე რომ არც თბილისში იყოს სწავლების პროცესი შეწყვეტილი და არც გერმანიაში.

გიორგი გამყრელიძეს ასევე აინტერესებდა უშუალოდ პრაქტიკის გავლის საკითხი, რადგან ეს დამოკიდებულია მსმენელზე, რა ინსტრუმენტები არსებობს წინაპირობით, რომ ის აუცილებლად გაივლის პრაქტიკას, რადგან ტრანსპორტირების ხარჯი და სადაზღვევო პოლისი უნდა შეიძინოს თავად მსმენელმა.

ქეთევან ჯანელიძემ, რომელიც დაწესებულების მხარეს წარმოადგენდა, აღნიშნა, რომ ეს დაწესებულება 2002 წლიდან არსებობს და ეს მომზადება/გადამზადების პროგრამა მათთვის პირველი გამოცდილებაა, თუმცა მათ ამ დრომდე ასეთი ტიპის პროგრამის განხორციელების გამოცდილება აქვთ და მათ უკვე 100-ზე მეტი კურსდამთავრებული ჰყავთ ამ ფორმატით მომზადებული. დაზღვევასთან და თანხებთან დაკავშირებით, გერმანული მხარე უზრუნველყოფს ასევე 150 ევროს ფარგლებში სამგზავრო ხარჯებსაც, გარდა კვებისა და სახოვრებელი ხარჯისა.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა ანაზღაურება პრაქტიკის ადგილზე რისთვის იყო გათვალისწინებული. ქეთევან ჯანელიძემ უპასუხა, რომ ანაზღაურდება მგზავრობის კვების, საცხოვრებლის ხარჯები და ეძლევა პრაქტიკის სტიპენდია 450-800 ევრომდე, ასეთი პრაქტიკა აქვთ. ორგანიზაციას აქვს შეთანხმება გერმანიის შრომისა და დაცვის სააგენტოსთან და გერმანიის პროფესიული განვითარების სამინისტროსთან, შესაბამისად კურსის მსმენელებს არ სჭირდებათ სპეციალური ვიზა. კურსით დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა აღნიშნული კურსის ფარგლებში მიიღონ სამუშაო გამოცდილება და გაიარონ პრაქტიკა.

გიორგი გამყრელიძის აზრით, უნდა იყოს პრაქტიკის საქართველოში გავლის შესაძლებლობაც, რათა დაზღვეული იყოს კურსის მონაწილის ინტერესები თუ ვერ მოახერხა გერმანიაში გამგზავრება მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საქართველოში პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. ამ კუთხით თანამშრომლობა არა ერთ არამედ, რამდენიმე პარტნიორთან უნდა მიმდინარეობდეს.

ნიკოლოზ მესხიშვილსაც აინტერესებდა, იმ შემთხვევაში თუ მსმენელი ვერ მოახერხებდა გერმანიაში წასვლას რაიმე გარემოების გამო, ამ შემთხვევაში როგორ დაასრულებდა კურსს და მეორე კითხვა ეხებოდა ვიზის საკითხს, ამ საკითხის დარეგულირება როგორ მოხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის აზრითაც საჭიროა დაწესებულებას ამ პროგრამისთვის ჰყავდეს საქართველოში მოქმედი პარტნიორები, რათა მსმენელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა თუ ვერ ახერხებენ გერმანიაში წასვლას, აქ დაასრულონ პრაქტიკა, ალტერნატივა უნდა შესთავაზონ მსმენელებს.

კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ აქვთ შეთანხმება გერმანიის საგარეო სამინისტროსთან და მათ მსმენელებს არ სჭირდებათ ვიზა. ასევე დაწყებულია საქართველოში არსებული პარტნიორი ორგანიზაციების ძიების პროცესი პრაქტიკის მიზნებისთვის და აუცილებლად გაითვალისწინებენ რეკომენდაციებს. მათ აქვთ მოლაპარაკებები სხვადასხვა სასტუმროსთან და აპირებენ ხელშეკრულებების დადებას მათთან.

ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის დროს მოხდა დისტანციური შეხვედრები საქართველოში არსებული პარტნიორი ორგანიზაციებთან დაგამოთქვეს მზაობა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე. თუმცა ამ ეტაპზე მათთან თანამშრომლობა გულისხმობს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიებს. გარდა ამისა, ვიზიტის დროს დისტანციური შეხვედრა გაიმართა გერმანელ პარტნიორებთან ერთად და ისინი ნამდვილად ადასტურებენ, რომ უზრუნველყოფენ პროგრამის ფარგლებში კურსის მონაწილეების ცხოვრებას და სამუშაო გამოცდილებას.

საბჭომ მიიჩნია, რომ მატერიალურ ნაწილში ხარვეზია, კერძოდ, რისკი დაინახა გერმანიაში პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით, არსებობს რისკი რომ პროგრამაზე დარეგისტრირებულმა პირმა თუნდაც პირადი მიზეზით ვერ მოახერხოს გერმანიაში წასვლა.

საბჭოს წევრებმა აუცილებლად ჩათვალეს, რომ დაემატოს ალტერნატივა ქართული დაწესებულებების სახით და მიუხედავად იმისა რომ ხარვეზი არ იყო ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში საბჭომ რისკის შემცველად ჩათვლა **1.9 ქვესტანდარტი**. საბჭოს სხდომიდან 30 დღის ვადაში დაწესებულებას მიეცა ვადა დაამატონ საქართველოში მოქმედი პარტნიორები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სრულყოფილად განხორციელების მიზნით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს ევროპული ენების უნივერსიტეტს (ს/კ: 204992730) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - სასტუმრო საქმის მწარმოებელი /01307/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციები ს ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01317	ვიდეოოპერატორი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №2

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციები ს ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01284	შინმოვლის სპეციალისტი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	12	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01282	შინმოვლის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	10	ქართული	15	ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01259	ახალგაზრდებთან მუშაობის საბაზო უნარები	პროფესიული მომზადება	მეხუთე	17	ქართული	30	ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის მე-4 შესახვევი №8